46
ს-966

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ვლადიმერის ასული ცქიტიშვილი

ვოკალურშენაერთებიან სიტყვათა აქცენტური ორგანიზაცია
(ესპანურ ენაზე ყურადღების გამახვილებით)

სპეციალობა 10.02.07 – ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1999

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის თეორიული და შეპირისპირებითი ლინგვისტიკის კათედრაზე და აგრეთვე მოსკოვის მ. ტორეზის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამოყენებითი და ექსპერიმენტული ლინგვისტიკის კათედრაზე.

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ციური ახვლედიანი

ოფიციალური ოპონენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ია ფხაკაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლუდმილა ზუბკოვა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გულნარა ქუთათელაძე

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერმანული და ფრანგული ენების კათედრა

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წ. "29" დეკემბერს "14" საათზე თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.02 C №6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков

- 1783 -

დისერტაციასთან გაცნობა შეიძლება თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმიწფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წ. "25" ნოემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. წიბახაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომის სახით წარმოდგენილი, რეფერირებადი მონოგრაფია "ვოკალურშენაერთებიან სიტყვათა აქცენტური ორგანიზაცია (ესპანურ ენაზე ყურადღების გამახვილებით)" ეძღვნება ვოკალურშენაერთებიან (ვშ) სიტყვათა აქცენტური აგების თეორიულ-ექსპერიმენტულ კვლევას. ძირითადი თეორიული დებულებების შემოწმება ხდება ესპანური აქცენტურ-მარცვლოვანი სტრუქტურების სხვადასხვა სახის აკუსტიკური ანალიზის შედეგად, ამ სტრუქტურათა ინგლისური და რუსული ენების შესაბამის სტრუქტურებთან შეპირისპირებით. ამ სამი ენის შერჩევა შემთხვევითი არ არის: ეს ენები ხასიათდება მახვილის დინამიკური, ძალოვანი ტიპითა და მისი შედარებითი თავისუფლებით, აგრეთვე ვშ-იანი სიტყვების წარმოთქმის საერთო ნიშნებით.

<u>თემის აქტუალობა და კვლევის მეცნიერული სიახლე.</u> ზემოხსენებულ ენებში ვშ-იან სიტყვათა აქცენტური აგების შედარება აქამდე არ მომხდარა, აგრეთვე არ ჩატარებულა მრავალრიცხოვანი ვშ-ისა და მათი ელემენტების ექსპერიმენტული ანალიზი. ცალკე აღებულ, პოტენციურ სიტყვაში აქცენტურ-მარცვლოვანი განაწილება არსებით როლს ასრულებს აქცენტუაციური ცენტრების განლაგებაში, მისი სინტაგმის, ფრაზის, ტექსტის კინეტიკურ პირობებში გამოსვლისას, და, საბოლოოდ, მეტყველების რიტმიკისა და "მუსიკის" ორგანიზებაში. მეტყველებაში აქცენტუაციური ცენტრების დადგენის საკითხს რთული ბგერითი წარმონაქმნების შემცველი სიტყვითი ერთეულების აქტიური მონაწილეობა ართულებს. ამასთან ერთად, თავისუფალი მახვილის არსებობისას მახვილიანი მარცვლის პოვნის სირთულეებს, ვშ-იან მარცვალში ბირთვული ელემენტის ძიების აუცილებლობაც ემატება. ვოკალური შენაერთები მრავალი ენის ვოკალური სისტემის ძირითად სარჩულს წარმოადგენენ: ვშ-თა და მათი ელემენტების ფონეტიკური ბუნებისა და ფონოლოგიური სტატუსის დადგენის გარეშე შეუძლებელია სიტყვით ერთეულში შესაბამისი აქცენტური განაწილების დადგენა. ნაშრომში მათი სტატუსის გასაშიფრად საჭირო გახდა ახალი ცნების – "ელემენტარული ერთეულის" (ეე) - შემოტანა, რომელიც არსებული ტრადიციული კონცეპციების ფარგლებს სცილდება.

წარმოდგენილ ნაშრომში ახლებურადაა დასმული ვშ-ის სტატუსისა და რთული ბგერითი წარმონაქმნების შემცველ სიტყვათა აქცენტურ-მარცვლოვანი სტრუქტურების მოდელების, წამოყენებული დებულებების ექსპერიმენტული დადასტურების – მათი, სპეციალურად გამოყვანილი აკუსტიკური პარამეტრ-გასაღებების მეშვეობით გაკონტროლების - საკითხი. ეს აკუსტიკური პარამეტრ-გასაღებები დროისა და ძალის ურთიერთმოქმედი ფაქტორების აქცენტური ბალანსირებისა და ზემოხსენებულ შენაერთთა სადიფერენციაციო და საიდენტიფიკაციო ერთგვარ "კოდს" წარმოადგენენ. ახლებურად ხდება ვშ-იან სიტყვათა აქცენტურ-მარცვლური ორგანიზაციის კვლევა – საწარმოთქმო მახასიათებლებში მორფოლოგიურ ფაქტორზე დაყრდნობით.

<u>კვლევის მიზანი, ამოცანები, მასალა და ობიექტი.</u> წინამდებარე რეფერირებადი ნაშრომის ძირითადი <u>მიზანია</u> ესპანურ ენაში ვოკალური